

ოქმი № 4

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 20 მაისის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ

საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (თავმჯდომარე), რ. ბანცური, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ლ. ევრამიძე, ნ. ინასარიძე, ხ. ინასარიძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ნ. შავლაყაძე, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე

სათათბირო ხმის უფლებით: ნ. ფარცვანია (ინსტიტუტის დირექტორი)

საბჭოს მდივნი ლ. გოგოლაური.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის საშტატო განრიგის შესახებ.
2. სხვადასხვა საკითხები.

მოისმინეს ნონო ფარცვანიას ინფორმაცია საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების შესახებ.

რადგან 2008 წლის თებერვლამდე ს.ს.ი.პ. – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი მოქმედებდა დროებითი დებულებით და დირექტორი არჩეულ იქნა მხოლოდ 2008 წლის 23 აპრილს, ამიტომ საშტატო განრიგში საჭირო ცვლილებების შეტანა შეუძლებელი იყო.

ინსტიტუტის დირექტორმა საბჭოსთან შესატანხმაბლად გამოიტანა საშტატო განრიგის შემდეგი ცვლილებები:

1) ალგებრის განყოფილების გამგის, აკად. ხ. ინასარიძის განცხადების საფუძველზე გაუქმდა ალგებრის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობა (1 საშტატო ერთეული), რის საფუძველზეც დაწესდა მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (0,5 საშტატო ერთეული) და გამოელდა 0,5 საშტატო ერთეული არსებული მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისა;

2) დიფერენციალური განტოლებების განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (1 საშტატო ერთეული) გადაკეთდა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობად (1 საშტატო ერთეული);

3) გაუქმდა მათემატიკური ფიზიკის განყოფილების უფროსი ლაბორანტის თანამდებობა (0,5 საშტატო ერთეული), რის საფუძველზეც დაწესდა ამავე განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (0,5 საშტატო ერთეული).

ამრიგად ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ახალი საშტატო განრიგი განისაზღვრება 87,5 საშტატო ერთეულითა და თვიური სახელფასო ფონდით 17 390 ლარი (საშტატო ერთეულთა რაოდენობა გაიზარდა 0,5-ით, ხოლო თვიური სახელფასო ფონდი – 85 ლარით; შესაბამისად 85 ლარით შემცირდა სხვა საქონლისა და მომსახურების მუხლით გათვალისწინებული თვიური ბიუჯეტი).

დაადგინეს საბჭომ ღია კნჭისყრით დაადასტურა თანხმობა შემოთავაზებულ საშტატო განრიგზე.

ინსტიტუტის საშტატო განრიგი ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს ნინო ფარცვანიას ინფორმაცია სსეფ გრანტების დაბეგერის თაობაზე. კერძოდ დირექტორმა საბჭოს გააცნო სსეფ-ს პასუხი ინსტიტუტის შეკითხვაზე (სსეფ-ს წერილი ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს თ. ქაღეიშილის წინადადება საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ.

დაადგინეს კონფერენცია ჩატარდეს 2008 წლის ნოემბერში. კონფერენციის ორგანიზაციას უხელმძღვანელებს ლ. ევრემიძე.

საბჭოს თავმჯდომარე

თორნიკე ქაღეიშილი

საბჭოს მდივანი

ლიდა გოგოლაური